საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/1533
07/03/2023

1533-09-2-202303071507

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის
პროგრამის კოორდინატორს
ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

№3970 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის საქალაქო სამსახურმა მიმდინარე წლის 6 თებერვალს, შპს „მწვანე ფერმაში“ განახორციელა არაგეგმური ინსპექტირება. სახელმწიფო კონტროლის დროს დადგინდა, რომ შპს-ში „მწვანე ფერმა“ დარღვეულია მომხმარებლისთვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესი, კერძოდ, ეტიკეტზე მითითებულია „ორგანულ გარემოში წარმოებული კვერცხი'', რაც ვერ დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით. ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის'' 66-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად და დაევალა სურსათის ბაზრიდან გამოთხოვა.

რაც შეეხება შპს „ეკო კვერცხს“, ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს უფლებამოსილი პირები, სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მიზნით, აღნიშნულ ბიზნესოპერატორთან იმყოფებოდნენ 6 თებერვალს, რა დროსაც გაირკვა, რომ შპს „ეკო კვერცხი“ სამეწარმეო საქმიანობას არ ახორციელებდა და ბაზარზე აღნიშნული სურსათი არ იყო განთავსებული. 17 თებერვალს, ბიზნესოპერატორის მომართვის საფუძველზე ჩატარდა არაგეგმური ინსპექტირება აღიარების მინიჭების მიზნით. ბიზნესოპერატორს შპს

,,ჩემი კვერცხი'' (კვერცხის წარმოება; ს/კ 405370281; ფაქტობრივი მისამართი: გარდაბანი, სოფ. სართიჭალა) მიენიჭა პირობითი აღიარება.

გიორგი იაკობაშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.